სამაგისტრო პროგრამის დასახელება:

გენდერი (Master's Program in Gender)

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრი (Master in Social Sciences)

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი :

ნინო ჯავახიშვილი , თსუ სრული პროფესორი

- მიზანი

  სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს

  - გენდერის სპეციალისტების მომზადებას
  - ინტერდისცილინარული მიდგომის საფუძველზე გენდერის, როგორც მეცნიერული და სოციალური ფენომენის არსის გააზრებასა და შესაბამისი სამეცნიერო და პრაქტიკული მასალის, ვერბალური და წერითი კომუნიკაციის უნარების განვითარებასა და სწავლებას როგორც თეორიული, ასევე გამოცდილებითი სწავლების გზით
  - გენდერული პერსპექტივისა და მოდერნული სოციალური მეცნიერებების აკადემიური და გამოყენებითი კვლევითი ასპექტების სწავლებასა და ანალიტიკური ანგარიშების დაწერას (პროგრამის დასრულებისათვის სამაგისტრო ნაშრომის დაცვა აუცილებელია).

- შედეგი

სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი ფლობს გენდერის თეორიულ და ფილოსოფიურ საფუძვლებს, გენდერში სამეცნიერო კვლევის ჩატარებისა და დამუშავების ხერხებს და შეუძლია ჩაატაროს სრულფასოვანი სამეცნიერო და ანალიტიკური კვლევა გენდერის სფეროში. აქვს უნარი როგორც წერილობით, ისე ვერბალურად წარმოადგინოს საკუთარი კვლევის შედეგები და შეუძლია გამოიყენოს გენდერული პერსპექტივა ნებისმიერი საკითხის პრობლემური ანალიზისას.

- **დასაქმების სფეროები**

გენდერის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შესაძლოა დასაქმდნენ ყველა იმ საერთაშორისო და ადგილობრივ, სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში, რომლებიც მუშაობენ გენდერის და ქალთა საკითხებზე.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

- ბაკალავრის ხარისხი მაღალი აკადემიური მოსწრებით ნებისმიერ სფეროში დამაკმაყოფილებელია; სასურველია, სტუდენტს გავლილი ჰქონდეს კურსები სოციალურ მეცნიერებებში.
- საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა მაგისტრატურაში ჩამბარებლებისათვის აუცილებელია მოტივაციის წერილის წარმოდგენა, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის სურვილი, მოლოდინი, მოტივაცა და ხედვა თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. დამატებით აპლიკანტს შეუძლია წარმოადგინოს ნებისმერი რელევანტური ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის აქტივობას, კვალიფიკაციის დონეს ან სამუშაო გამოცდილებას სამეცნიერო ან პრაქტიკული საქმიანობის თვალსაზრისით;
- მისაღები გამოცდები უნდა ჩატარდეს წერითი ფორმით. წერითი გამოცდის დრო 4 საათია. საბოლოო ჩარიცხვამდე აუცილებლი კომპონენტი უნდა იყოს ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან და სასწავლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ სხვა თანამშრომელთან (კომისია მაქსიმუმ 5 აკადემიური თანმაშრომლის შემადგენლობით).
- მაგისტრანტს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა სულ მცირე B1 დონეზე.